პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, პარტიული და კომკავშირის კომიტეტების, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган ректората, парткома, профкома, местксма и комитета ЛКСМ Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 26 (87) | გამოცემის მესამე წელი | პარასკევი, 10 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## მეცადინეობას შეუდგნენ



უნივერსიტეტში დიდი გამოცოცხლებაა, სტუდენტები მონდომებით შეუდგნენ სწავლას. უნივერსიტეტის ბაღშიც ხშირად ნახავთ მათ ამ დღეებში. სტუდენტები—პირველკურსელები, უფროსკურსელები ისვენებენ, სეირნობენ; ზოგი მათგანი თავისუფალ დროს არ კარგავს და აქვე, ბაღში, მეცადინეობს, ამზადებს სასემინარო თემებსა და კითხულობს დამხმარე ლიტერატურას. აი მაგალითად, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები მ. ბარკავა, თ. დემურია და ც. ალხაზაშვილი დროს არ აცდენენ და გერმანულ ენაში მეცადინეობენ.

**სურათზე** (მარცხნიდან მარჯვნივ) მ. ბარკავა, თ. დემურია და ც. ალხაზაშვილი ბაღში მეცადინეობის დროს.

ფოტო **ზ. სახელაშვილისა**

## მეცნიერების მწვერვალებისაკენ

ეს იყო თერთმეტი წლის წინ. შვიდი წლის ბავშვი მიმიყვანეს სკოლის კედლებთან, დაუშრეტელი ცოდნის წყაროს, ზღუდეულ ცხოვრების ალმართს...

მე მაშინ ამ მადლიანი წყაროს გულიდან გადმომსკდარი ნაკადულის ბოლოს ვიდექი.

თერთმეტი წელია ალმა მივყვები ამ ნაკადულს, რა დალევს ამ გზას!..

ვარაზის ხევთან ტაძარია ერთი. სიბრძნის, მეცნიერების, შემოქმედების ტაძარი ჰქვია მას. იქ დუღს და გამოდის ახალგაზრდული სული. იქ იგრძნობა სისხლსავსე ახალგაზრდობის აჩქარებული მაჯისცემა. აქედან მოჩანს მომდიმარი ცხოვრების ნათელი ეკრანი.

მე მინატრია ხშირად, მეგრძნო ამ ტაძრის სიცოცხლის სიმხურვალე, მსურდა დავხარბებოდი ცოდნის განძეულს უხვად მიმობნეულს ამ კედელთ შორის.

მე მიოცნებია ხშირად:

თავზევით ჩანდა ცის თაღი ვრცელი,
მომავლისათვის ფიქრებს დავძრავდი,
ასე ვიარე თერთმეტი წელი
ამ ბჭემდილიან სიბრძნის ტაძრამდის...

და აი, მოვედი ამ კედლებთან. უკვე დაიწყო სტუდენტობა.

...სპარსული ენის მეორე გაკვეთილი და... უკვე ანბანის დახმარებით ამოვკითხე პირველი სიტყვა.

ეს არ იყო ჩვეულებრივი სიხარული. ამ დარბაზებში ყოველი სიტყვის გაგონებისას გრძნობ რაღაც ახალს. ჯერ ერთი კვირაც არ გასულა და თითქოს უკვე ვეზიარდე მომეტა ცოდნა, მაგრამ ჩემს წინ ხომ ხუთი წლის სავალი შარაა. კარგები უნდა სამშობლოს და მეც უნდა ვიარო ფეხაუხევლად.

ასრულდა ოცნება.

საით მიხვალთ — ვერ ისვენებდა ნიავქარი,

საით მიხვალთ — შრიალებენ ვერხვები.

საით??..

— თერთმეტი წელია ცოდნის წყაროს ბოლოდან გადმომსკდარ ნაკადულს ალმა მივყვები...

და ახლა საით?..

— სათავისაკენ!

გზა დამილოცეთ!...

**ვ. კოტეტიშვილი,**

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

## წარმატებას გისურვებთ, ამხანაგებო!

ესეც არის დავტოვეთ მშობლიური სკოლის მერხი და შევაღეთ მეცნიერების დიდი ტაძრის—უნივერსიტეტის კარები. ჩვენს თვალწინ გადაშლილია ნათელი პერსპექტივები, უდიდესი სამოქმედო ასპარეზი, წინ გვიძევს მეცნიერების დაუფლების ძნელი, მაგრამ შინაარსიანი გზა.

ყოველი ჩვენთაგანი ხომ ოცნებობდა ეტარებინა ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის სტუდენტის სახელი. ეს სახელი ჩვენ შრომით მოვიპოვეთ, მონაპოვარს კი დაცვა უნდა. დავიცვათ საბჭოთა სტუდენტის ღირსება! ვისწავლოთ ისე, რომ არ შევარცხვინოთ არც ჩვენი მშობლიური სკოლის სახელი და არც უნივერსიტეტი!

ჩვენ მეცნიერების დაუფლების ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენ გვასწავლიან საბჭოთა კავშირში ცნობილი პროფესორ-მასწავლებლები, ჩვენთვის ღიაა ბიბლიოთეკის, საგნობრივი კაბინეტების და ლაბორატორიების კარები. სტუდენტების წმიდა მოვალეობაა ხარბად დაეწაფონ სიბრძნის წყაროს, რომელიც უხვად მოსჩქეფს ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტში.

წარმატებას გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო!

**ვლ. გოგოლაშვილი,**

ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტი.

## ლექციები სოფლად

მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა — შენს მიერ შეძენილი ცოდნა გაუზიარო საზოგადოებას. ამას კარგად გრძნობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, როდესაც ღებულობდნენ საგზურებს ზაფხულის არდადეგებზე სოფლებში ლექციების ჩასატარებლად.

512 მოხსენების ჩატარება დაევალათ უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარებაში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებმა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ არდადეგებზე წასაკითხ ლექციათა თემატიკა მეტად მრავალფეროვანი იყო. ამ ლექციებში ასახულია მშობლიური კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი საქმიანობის მრავალი მხარე.

საინტერესო თემებზე წაუკითხეს მოხსენებები მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა: პ. შუბლაძემ — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების დადგენილებათა მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში"; შ. ცაღაშვილმა — „მევენახეობის განვითარების ამოცანები საქართველოში"; ლ. ჯიქიძემ — „მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები"; ს. ნარმანიამ — „ჩაის კულტურის განვითარების ამოცანები საქართველოში" და სხვ.; ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა: თ. გოცირიძემ თემაზე: „ცხოველთა ახალი ჯიშების გამოყვანის მეთოდები და ხერხები საბჭოთა კავშირში"; ზ. ბრეგაძემ — „ბოსტნეული კულტურის აგროტექნიკური თავისებურებანი"; გ. ქისტაურმა — „როგორ გავზარდოთ მატყლიანობა".

ლექციებში ფართოდაა ასახული მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განვითარების თემა. ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა ა. ზარიძაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის შესახებ", ხოლო იმავე ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ტოკლიკიშვილმა თემაზე: „ჩინელი ხალხის ბრძოლა სახალხო დემოკრატიისათვის" და სხვ.

მოხსენებები საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების შესახებ და ხელოვნებისა და ლიტერატურის პროგრესულ მოღვაწეთა მშვიდობისათვის ბრძოლის შესახებ წაიკითხეს ფილოლოგიისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების სტუდენტებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სტუდენტმა უკვე მოიტანა პასუხი საგზურზე. ბევრმა მათგანმა დამატებით წაიკითხა ლექციები, რაც მისასალმებელ ფაქტს წარმოადგენს. ამასთან, ჩვენი მომხსენებლების მიერ წაკითხული მოხსენებები უმრავლეს შემთხვევაში მსმენელთა მოწონებას იმსახურებენ. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ამხ. ი. ნადირაძემ საგზური ათ ორგანიზაციაში წაიღო — წაიკითხა კი 14 ლექცია, ყველა მათგანი მსმენელების მიერ მოწონებულია. ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა მ. მელითაურმა ხუთი მოხსენება წაიკითხა გორის რაიონის სოფ. ტყვიავის კოლმეურნეებთან. მისი ლექციებით მსმენელები დიდად დაინტერესდნენ და, როგორც ისინი საგზურზე გაცემულ პასუხში წერენ, მათი სურვილია, კიდევ ხშირად ესტუმრონ მათ ჩვენი სტუდენტები ლექციების წასაკითხად.

ზაფხულში მიღწეულმა წარმატებებმა ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ რა საპასუხისმგებლო მოვალეობა აკისრია თითოეულ ჩვენგანს. მომავალში ჩვენი ზრუნვის საგანი უნდა იყოს ის, რომ კიდევ და კიდევ მეტი სტუდენტის ჩაბმა ამ მეტად კარგ საქმიანობაში.

**პ. მოსულიშვილი,**

ლექციების კომიტეტთან არსებული მომხსენებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

## ჩვენს უნივერსიტეტში

### შეხვედრა პირველკურსელებთან

სულ რამდენიმე თვის წინათ ამ დარბაზში კურსდამთავრებულები ეთხოვებოდნენ მათზე მზრუნველ პროფესორ-მასწავლებლებს, მეგობრებსა და ამხანაგებს. გასულ სასწავლო წელს უნივერსიტეტდამთავრებულმა მრავალმა ქაბუკმა და ქალიშვილმა მიაშურა სკოლებს, წარმოება-დაწესებულებებს, რათა უნივერსიტეტში მიღებული მტკიცე ცოდნის პრაქტიკული განხორციელებით მიუზღოს ამაგი დედა სამშობლოსა და მშობლიურ უნივერსიტეტს. მათ მაგივრად უნივერსიტეტის სტუდენტთა მრავალრიცხოვან კოლექტივს ახალი, ჯანსაღი ცვლა შეემატა.

ამას წინათ სააქტო დარბაზში შედგა პროფესორ-მასწავლებელთა შეხვედრა პირველკურსელებთან. ბედნიერების ღიმილი აციმციმებდა დარბაზში შეკრებილ პირველკურსელთა სახეებს. მათ სისტემატური და დაძაბული შრომის შედეგად მოიპოვეს სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტის სახელი, რაც მათ ბევრს ავალებს. ამ მოვალეობის შესახებ შეკრებილთ ესაუბრა უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ვ. კუპრაძე. პირველკურსელებს გულთბილად მიესალმნენ და საგულისხმო რჩევა-დარიგება მისცეს პროფესორებმა გ. ახვლედიანმა და ლ. გოკიელმა. კომკავშირის კომიტეტის მდივანმა კ. გოქსაძემ მათ მოუთხრო უნივერსიტეტის სტუდენტთა მჭიდრო კოლექტივის შინაარსიან და მიმზიდველ ცხოვრებაზე. შეხვედრის შემდეგ უნივერსიტეტის სპორტულ მოედნებზე გაიმართა სტუდენტთა საჩვენებელი გამოსვლები სპორტის სხვადასხვა სახეებში.

კვლავ ახმაურდა საზეიმოდ მორთული უნივერსიტეტის სპორტული მოედნები. საჭიდაო ხალიჩაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საბჭოთა კავშირსა და მთელს მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები, უნივერსიტეტის სტუდენტები: ბალავაძე, კარტოზია, მაისურაძე და სხვები. სპორტულ იარაღებზე უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეთა ძლიერი კოლექტივის წევრები, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე არაერთგზის გამარჯვებული სტუდენტები სხარტად და მოქნილად ასრულებდნენ რთულ სპორტულ ილეთებს. საჩვენებელი გამოსვლები შედგა კალათბურთსა და ფრენბურთში. სტუდენტთა სპორტულ ასპარეზობაში პირველკურსელებმაც მიიღეს მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ კალათბურთში უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდთან შეხვედრაში პირველკურსელებმა გაიმარჯვეს.

**ნ. ბეთანიშვილი**

### „პირველი სხივის" მეოთხე წიგნი

გამოვიდა ჩვენს უნივერსიტეტთან არსებული ახალგაზრდა მწერალთა წრის ალმანახის—„პირველი სხივის" მეოთხე წიგნი.

ამ ალმანახის გამოცემის მნიშვნელოვანი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ახალი კადრების სამჭედლოა ქართული საბჭოთა მწერლობისათვის.

ეს წიგნი ერთგვარი შეჯამებაა იმ ნაყოფიერი მუშაობისა, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდა მწერლები გასული ორი



წლის განმავლობაში აწარმოებდნენ. წიგნის შინაარსი მრავალფეროვანია, იგი შედგება პოეზიის, პროზის, საბავშვო მწერლობის, თარგმანებისა და წერილების განყოფილებებისაგან. წიგნში დაბეჭდილია ა. გეწაძის, მ. მაჭავარიანის, ა. სულაკაურის, თ. ჭილაძის და სხვათა ლექსები, ბ. ბარდაველიძის, გ. გაბუნიას, რ. ინანიშვილის, რ. ჯაფარიძის და სხვ. პროზაული ნაწარმოებები, ლ. სულხანიშვილის საბავშვო მოთხრობები, ზ. პუმპურიძის, თ. ჩხენკელის და სხვ. კრიტიკული წერილები. მრავალფეროვანია თარგმანების განყოფილება, რომელშიაც დაბეჭდილია თარგმანები აფხაზურიდან, რუსულიდან, ფრანგულიდან, აზერბაიჯანულიდან, არაბულიდან, სპარსულიდან; აქვეა მოთავსებული ჩინური კლასიკური პოეზიის ნიმუშებიც.

წიგნის მთავარი რედაქტორია ბ. ჟღენტი.

წიგნი შედგება 388 გვერდისაგან, ჩასმულია ლამაზ ყდაში და ღირს 11 მან.

### კედლის გაზეთის პირველი ნომერი

გამოვიდა ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს, ალკკ ბიუროსა და პროფბიუროს ორგანოს „ლიტერატურული ფურცლის" პირველი ნომერი (რუსულ ენაზე).

ნომერი იხსნება მოწინავე წერილით „ძვირფასო ამხანაგებო!", რომელიც კონკრეტულ ამოცანებს უსახავს სტუდენტთა ახალ ცვლას — პირველკურსელებს. ამავე საკითხს ეხება გაზეთში მოთავსებული სხვა წერილებიც: „დღეს სკოლებში" და „პირველ კურსზე".

ნომერში მოთავსებულია დოცენტ მ. ბაისოგულოვას წერილი, მიძღვნილი დიდი რუსი მწერლის ა. ნ. რადიშჩევის დაბადებიდან 205 წლისთავისადმი.

საინტერესოდაა გაკეთებული ფოტორეპორტაჟი „შავ ზღვაზე", რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მხიარულად ისვენებდნენ რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტები შავი ზღვის წარმტაც სანაპიროებზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ნომერი კარგადაა გაფორმებული და აქტუალური შინაარსის მხრივაც.

**ნ. ლორთქიფანიძე**

### მიძღვნილი სხდომა

მიმდინარე წლის 9 სექტემბერს შედგა სტატისტიკის კათედრის ღია სხდომა, რომელიც მიეძღვნა დოც. გ. გამყრელიძის გარდაცვალების წლისთავს.

კათედრის სხდომა გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა დოც. ი. მიქელაძემ.

მოხსენება გ. გამყრელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა დოც. შ. ბერაძემ.

მოგონებებით გამოვიდნენ პროფესორები: ლ. კარბელაშვილი, ნ. ქოიავა, ა. ინწკირველი; დოცენტები: ვ. ჩანტლაძე და ვ. ბახტაძე.

სხდომას დაესწრო ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივი, აგრეთვე საქ. სსრ რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელი ამხანაგები და განსვენებულის ნათესავ-მეგობრები.



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების I კურსის სტუდენტი ფ. მაკალათია, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი მ. ბაიაური და ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების I კურსის სტუდენტი გ. ხორნაული რუსული ენის კაბინეტში მუშაობის დროს.

ფოტო გ. გიორგაძისა

# ნარმაფებით მოვემზადოთ მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის

ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხალხის კულტურის შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა მოქალაქეების აღზრდას კომუნისტური მორალის სულისკვეთებით. ამ დიდ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მშრომელთა კულტურული დასვენება, რომლის ერთ-ერთ სახესაც მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების წრეებში მუშაობა წარმოადგენს.

მხატვრული თვითმოქმედების წრეების წევრთა შემოქმედების პოპულარიზაციისა და ნიჭიერი შემსრულებლების გამოვლინების მიზნით სისტემატურად ტარდება სარაიონო, საოლქო, რესპუბლიკური და საკავშირო ოლიმპიადები.

ჩვენს უნივერსიტეტში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ სტუდენტებს შეეძლოთ სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ მხატვრული თვითმოქმედების საქმეში. უნივერსიტეტში მუშაობს ქორეოგრაფიული, სიმღერის, დრამატული და მხატვრული კითხვის წრეები, სიმფონიური და სასულე ორკესტრები. მსურველებს შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ წრეების მუშაობაში.

ამ წრეებში გაერთიანებულ სტუდენტთა წინაშე ამჟამად დიდმნიშვნელოვანი ამოცანა დგას — ისინი ღირსეულად უნდა მოემზადონ მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის, რათა კვლავაც შეინარჩუნონ პირველი ადგილი, რომელიც გასულ ოლიმპიადაზე მოიპოვეს. ამ მიზნით ჩვენი უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ შეიმუშავა ღონისძიებათა პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებულია ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" მესამე მოქმედების დადგმა სტუდენტი-ვოკალისტებისა და სიმფონიური ორკესტრის ძალებით. აგრეთვე ახალი პროგრამით იმუშავებენ მოცეკვავეთა ანსამბლი და სხვა თვითმოქმედი წრეები.

ამ ახალი და მრავალმხრივი პროგრამის განსახორციელებლად ბეჯითი და სისტემატური შრომაა საჭირო. თვითმოქმედი წრეების წევრთა მოვალეობაა, ღირსეულად შეასრულონ ეს ამოცანა.

წრეების მუშაობაში ჩაბმულ სტუდენტთა უმრავლესობას ღრმად აქვს შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა ამ საპატიო საქმეში, მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ისეთი სტუდენტებიც, რომელნიც საჭიროდ არ თვლიან რეპეტიციებზე სიარულს, ყოველნაირად ცდილობენ თავი აარიდონ წრეებში მუშაობას, რის გამოც რეპეტიციები სათანადო დონეზე არ ტარდება, ხშირად იშლება კიდეც. ეს ფაქტი კი იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი ფაკულტეტის ალკკ ორგანიზაცია, კერძოდ, ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების, ისტორიისა და დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტების კომკავშირული ორგანიზაციები არ აწარმოებენ სათანადო ახსნა-განმარტებით მუშაობას ისეთ კომკავშირელთა შორის, რომლებიც არღვევენ კომკავშირულ დისციპლინას. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სიმფონიური ორკესტრის რეპეტიციებზე თითო-ოროლა კაცილა ესწრება, ხოლო სტუდენტები ს. ასიტაშვილი, დ. მხდელაძე, ი. ურუშაძე, ლ. ცხოვრებაშვილი, დ. აგაპონოვი, ი. ამირხანოვა, ვ. როინიშვილი, ლ. ბერმანი, გ. ალმანოვი, ზ. ქაჯაია, რ. მორჩილაძე სავალდებულოდ არ თვლიან რეპეტიციებზე სიარულს და საერთოდ გულგრილად ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ფაკულტეტების ბიუროებმა ასეთი სტუდენტების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ.

კარგად არაა დაყენებული საქმე მოცეკვავეთა წრეშიც. სტუდენტები რეპეტიციებზე კანტიკუნტად დადიან. 6 სექტემბერს რეპეტიციაზე 27-ის ნაცვლად მხოლოდ 7 სტუდენტი მოვიდა. ც. კუხიანიძე, დ. გოთუა, ლ. კანკავა და სხვები თაკილობენ რეპეტიციებზე დასწრებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამარცხვინოდ იქცევიან პირველკურსელებიც. ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ზვიადაძე, მიუხედავად მრავალგზისი გაფრთხილებისა მეცადინეობიდან თვითნებურად წავიდა. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი იაშვილი ავადმყოფობას იგონებს, რათა თავი აარიდოს მოცეკვავეთა წრეში მეცადინეობას. ასეთი ფაქტები არ უნდა იყოს.

ჯერჯერობით არც მომღერალთა გუნდში გაერთიანებული სტუდენტები იქცევიან უკეთესად. საჭიროა, რომ ფაკულტეტების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა სათანადო დახმარება გაუწიონ მას, რათა წარმატებით მოემზადოს იგი ოლიმპიადისათვის.

ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვეღა დარჩენილი. ფაკულტეტების დეკანებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ბიუროებმა და პროფბიუროებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ დარჩენილი დრო, რათა მომზადებულნი შეხვდნენ მხატვრული თვითმოქმედების VIII რესპუბლიკურ ოლიმპიადას.

ო. თენეიშვილი,
უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის წევრი.

## ჩვენ გვწერენ

### ლექცია შეთავსებით

სწავლა კარგა ხანია განახლდა, მაგრამ ზოგიერთი ფაკულტეტის სასწავლო ცხრილი ჯერ კიდევ დაუზუსტებელია. ამის შედეგად არის ცალკეული შემთხვევები სამეცადინო ლექციების დამთხვევისა. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პირველკურსელებს ლექცია ჰქონდათ ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ისინი შევიდნენ აუდიტორიაში, მაგრამ რაოდენ გაკვირვებულნი დარჩნენ, როდესაც მათი ადგილები უკვე ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების პირველკურსელებს დაეკავებინათ. მათაც იმავე საგანში, იმავე ლექტორის ლექცია ჰქონდათ. ლექტორი ლ. მენაბდე იძულებული გახდა ჯგუფები შეეერთებინა და წაეკითხა ლექცია, თუმცა ამ ორი ჯგუფის სასწავლო პროგრამა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ეს მოხდა 7 სექტემბერს.

საჭიროა დროულად შესწორდეს ცხრილი, რათა აღიკვეთოს ლექციების დამთხვევა და ამის შედეგად გამოწვეული უხერხულობა.

ა. თამარაშვილი

### სტუდენტთა ქალაქში წესრიგი უნდა დამყარდეს

უჩვეულო გამოცოცხლებაა ამ დღეებში სტუდენტთა ქალაქში. ზაფხულის არდადეგებიდან კვლავ დაბრუნდნენ ჯანღონით სავსე ახალგაზრდები. მაგრამ მათ სტუდენტთა ქალაქი სავსებით მომზადებული როდი შეხვედრია.

საცხოვრებელ კორპუსებში შეკეთებული არ არის რადიო-გაყვანილობა, რის გამოც რადიო დუმს. ყველაფერი რიგზე არც სასადილოშია.

ასეთი მაგალითიც: კლუბის ქვემოთ მდებარე დარბაზში დადგეს მაგიდის ჩოგბურთი, რომელიც შემთხვევით პირებს ჩაუვარდათ ხელში. ქალაქიდან მოდიან მოსწავლეები, რომლებიც არღვევენ წესრიგს, ილანძღებიან, იგინებიან, კინოში შემსვლელ ქალიშვილებს შეურაცხყოფას აყენებენ. ყველაფერი ეს ხდება დირექტორისა და დაცვის უფროსის, ამხ. აფციაურის თვალწინ. საჭიროა აქვე ითქვას, რომ სტუდქალაქის ეზოს წერტით ქალაქიდან მოსული შემთხვევითი პირები სარგებლობენ. ისინი ხშირად არღვევენ წესრიგს, მაგრამ ყოველივე ეს „შეუმჩნეველია" სტუდქალაქის მესვეურთათვის.

8, 9 და 10 სექტემბერს წყალიც არ მოდიოდა სტუდქალაქში.

რატომ არ უნდა იზრუნოს სტუდქალაქის დირექციამ იმაზე, რომ აქ, მაგალითად, გაიხსნას ჟურნალ-გაზეთების კიოსკი. ცხადია, ასეთი „წვრილმანები" მათ არ აინტერესებთ.

ჰ. გურგენიძე

## კომკავშირის კომიტეტში

ამ თვეში სრულდება 50 წელი ცნობილი საბჭოთა მწერლის ნ. ა. ო ს ტ რ ო ვ ს კ ი ს დაბადებიდან და 150 წელი გერმანელი ფილოსოფოსი—მატერიალისტის ლ უ დ ვ ი გ ფ ე ი ე რ ბ ა ხ ი ს დაბადებიდან.

ამ ორი საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ჩვენი უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

კომიტეტის დადგენილებით, საფაკულტეტო და საკურსო კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ, სტუდენტთა შორის ჩაატარონ ლექცია-მოხსენებები და საუბრები ნ. ა. ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ და გამოუშვან სპეციალური კედლის გაზეთები. ამას გარდა, 24 სექტემბერს ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩატარდება ნ. ოსტროვსკისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო; 28 სექტემბერს კი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდება სტუდენტთა საღამო თემაზე: „ნ. ოსტროვსკი — კომკავშირელთა სიამაყე".

ფილოსოფიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს დაევალა, მოაწყოს ლუდვიგ ფეიერბახის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

# კომკავშირის ღვიძლი საქმე

ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის აღზრდის საქმეში გადამწყვეტი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მათ შორის ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს.

რამდენიმე დღეში უნივერსიტეტის კომკავშირულ ორგანიზაციაში ანგარიშგება-არჩევნები დაიწყება და გასულ სასწავლო წელს ჩატარებული მუშაობა შეჯამდება. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე პრინციპულად უნდა იქნას მხილებული კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ცალკეულ დარგებში არსებული ნაკლოვანებები; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტთა მეცნიერული და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა მხილებასა და მათი თავიდან აცილების გზების ძიებას. ხომ ცნობილია, რომ გასულ სასწავლო წელს ზოგიერთი ფაკულტეტისა და კურსის ალკკ ორგანიზაციებს კონტროლის გარეშე დარჩათ ცალკეული სტუდენტი-კომკავშირლები, რომლებიც თავიანთი უღირსი საქციელით სახელს უტეხდნენ საბჭოთა სტუდენტობას.

კომკავშირის ბიუროები, კომკავშირის კომიტეტი უკანასკნელ დრომდე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ უნივერსიტეტის კედლებს გარეთ სტუდენტთა საქმიანობასა და ცხოვრებას. ბოლო დროს ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. მოეწყო რამდენიმე რეიდი ქალაქის საზოგადოებრივ ადგილებში, კომკავშირის ორგანიზაციამ მილიციის ორგანოებთანაც დაამყარა მჭიდრო კავშირი, მაგრამ ეს არ კმარა და ტექნიკურადაც შეუძლებელია მთელი იმ სივრცისა და დროის ჩვენი კონტროლით ამოვსება, სადაც ჩვენს სტუდენტობას ყოფნა უხდება. აქ სხვა რამ არის საჭირო, რასაც უნივერსიტეტის კომკავშირის ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ესაა აღზრდის იმ ფორმის მაქსიმალურად გამოყენება, რომელსაც შრომით აღზრდას ეძახიან. ჩვენი სტუდენტის შრომის უდიდესი ნაწილი სწავლას უნდა ხმარდებოდეს, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა თითოეული კომკავშირელის, სტუდენტის გაპიროვნება ამა თუ იმ საზოგადოებრივ სამუშაოზე. საზოგადოებრივი, ორგანიზაციული მუშაობა მეტი პასუხისმგებლობის, სხვებისა და თავისი თავისადმი მეტი მომთხოვნელობის გრძნობას უნერგავს ადამიანს. ჩვენთან კი ასეა: მაგალითად, გეოგრაფია-გეოლოგიის, დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის, ფილოლოგიის და სხვა ფაკულტეტებზე კომკავშირელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი არის დატვირთული და ზოგჯერ გადატვირთულიც საზოგადოებრივ-ორგანიზაციული დავალებებით, ხოლო დანარჩენი მასა არავითარ პასუხისმგებლობას არა გრძნობს კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობაზე. ზოგიერთი ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელები ამბობენ, ყველა კომკავშირელს როგორ მივცეთ დავალება, ამდენი დავალებები სად არისო. შემცდარი აზრია! სამუშაო ძალიან ბევრია, მას გამონახვა და განაწილება ესაჭიროება.

თუ ჩვენ უნარიანად გამოვიყენებთ შრომითი აღზრდის ფორმას, თუ ყველა კომკავშირელს ჩავაბამთ მუშაობაში, მაშინ ორგანიზაციის მუშაობაც გამოცოცხლდება და ყოველი სტუდენტი კონტროლისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ქვეშ გვეყოლება. სასტიკად უნდა გავკიცხოთ საზოგადოებრივი შრომის დეზერტირები, უსაქმურები. მაშინ როდესაც ეკონომიკის, მექანიკა-მათემატიკის და სხვა ფაკულტეტების სტუდენტ-კომკავშირელთა დიდი ნაწილი აქტიურ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევა (ბევრმა მათგანმა ზაფხულის არდადეგების პერიოდში კოლმეურნეობებში შრომადღეები გამოიმუშავა), ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები — გ. გეგეშიძე, კ. გოგოხური, დ. კიკვაძე და მ. ტონია გაზაფხულზე სამგორის გზის მშენებლობაზე რამდენიმე საათის შრომასაც კი გაექცნენ; მათ თვითნებურად დატოვეს სტუდენტთა ის კოლექტივი, რომელსაც სამგორის გზის მშენებლობაში წვლილი შეჰქონდა.

ჯერ კიდევ ბევრი სტუდენტი გაურბის საზოგადოებრივ დავალებას. საჭიროა მათი გამომზეურება, გაკიცხვა, ამასთან მათში საზოგადოებრივი მუშაობის ინტერესის გაღვიძება, რაც არც ისე იოლია. ამისათვის საჭიროა გავზარდოთ კომკავშირის ორგანიზაციის ავტორიტეტი, ავტორიტეტს კი მაშინ გავზრდით, როდესაც კომკავშირის ორგანიზაციის ყოველი ღონისძიება მაღალ დონეზე ჩატარდება. ზოგჯერ უხარისხო ლექცია-მოხსენებას, დაბალ დონეზე ჩატარებულ თეორიულ კონფერენციას, არაორგანიზებულ ექსკურსიას სარგებლობის ნაცვლად ზიანი უფრო მოაქვს: ერთხელ ცუდად ჩატარებული ღონისძიება აფრთხობს სტუდენტობას და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის ხალისს უკარგავს. აქ გამოსავალი ისევ იმაში უნდა ვპოვოთ, რომ ყოველი ღონისძიების მომზადებაში სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობას მივაღებინოთ მონაწილეობა; მაგალითად, თეორიული კონფერენციისათვის მომხსენებელთა გარდა თანამომხსენებლები და კამათში მონაწილეებიც უნდა მოემზადონ კარგა ხნით ადრე.

მიმდინარე სასწავლო წელს თეორიული კონფერენციები, ლექცია-მოხსენებები, გარდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების პროგრამით გათვალისწინებული საკითხებისა, ჩატარდება აგრეთვე კომუნისტური მორალის, სოციალისტური თანაცხოვრების, ანტირელიგიურ და სხვა საკითხებზე. თეორიული კონფერენციები, ლექცია-მოხსენებები, დისპუტები ისე უნდა ჩავატაროთ, კონტროლი სტუდენტთა მიერ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისადმი ისე უნდა დავაყენოთ, რომ წარმატებით უზრუნველვყოთ ახალგაზრდობის გონებრივი აღზრდის ძირითადი პირობის — მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლის დონის ამაღლება.

ყოველმხრივ განვითარებული, მაღალკვალიფიციური და კულტურული სპეციალისტების მომზადებისათვის საჭიროა აღზრდის ყველა ფორმის უნარიანად შეხამება და გამოყენება; ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის ფორმები. ამორალური გამოვლინებების შემთხვევები ცოტა როდი იყო გასულ სასწავლო წელს. საზარელი გასახსენებელია თუნდაც ნ. უთურგაიძის, რ. თოფურიძის და სხვათა ქცევა, რომლებმაც ჩირქი მოცხეს უნივერსიტეტს. კომკავშირის ორგანიზაციამ უნდა გააძლიეროს ანტირელიგიური პროპაგანდა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებიდან ზოგიერთი ფაკულტეტის კომკავშირულ ორგანიზაციას საагიტაციო-მასობრივი მუშაობის ფრონტზე ერთგვარი მოდუნება ეტყობა. ყოვლად დაუშვებელია ის ამბავი, რომ ეკონომიკისა და ისტორიის ფაკულტეტების II და III კურსებზე, აგრეთვე თითქმის ყველა ფაკულტეტის პირველ კურსებზე დღემდე არცერთი აგიტაცია-საუბარი არ ჩატარებულა; ჯერ კიდევ ჰორიზონტზეც არ გამოჩენილან კედლის გაზეთები: „საბჭოთა იურისტი", „საბჭოთა ორიენტალისტი", „მებრძოლი ფილოლოგი", „საბჭოთა ისტორიკოსი", „საბჭოთა ეკონომისტი" და სხვ. მიმდინარე სასწავლო წელს ლექციური პროპაგანდის დროულად გაშლაზე ნაკლებად ზრუნავენ ფილოსოფიისა და დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის ფაკულტეტების ალკკ ორგანიზაციები.

სტუდენტთა პოლიტიკური აღზრდის საქმეს ამთავითვე მთელი ენერგიით უნდა მოეკიდონ საფაკულტეტო კომკავშირული ორგანიზაციები, რათა წარმატებით განახორციელონ საკავშირო ალკკ XII ყრილობის დადგენილებანი.

ვ. გელეიშვილი,
უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

# მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური თანაცხოვრების წესები

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამსხვრია მეფის დროინდელი მიხრწნილი კაპიტალისტური წესწყობილება, მოსპო ადამიანის ექსპლოატაცია, დაგმო ძველი საზოგადოების თანაცხოვრების წესები და დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზეააშენა კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა — სოციალიზმი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი მონაპოვარი ფიქსირებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძირითად კანონში — კონსტიტუციაში.

კონსტიტუციის 130-ე მუხლში ნათქვამია — „სსრ კავშირის თითოეული მოქალაქე ვალდებულია დაიცვას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, შეასრულოს კანონები, დაიცვას შრომის დისციპლინა, პატიოსნად მოეკიდოს საზოგადოებრივ მოვალეობას, პატივისცემით მოეპყროს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს“.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ავალდებულებს თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს, ახალგაზრდას პატივისცემით, მოკრძალებით მოეპყრას ჩვენს საზოგადოებაში სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

სოციალისტური თანაცხოვრების წესები გამომდინარეობენ სოციალისტური მორალის მოთხოვნილებებიდან და განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთობას სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები საბჭოთა მორალის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რითაც იგი საერთოდ განსხვავდება სამართლის ნორმებისაგან.

ყოველ საზოგადოებას თავისი თანაცხოვრების წესები აქვს. როცა იცვლება ერთი საზოგადოებრივი წყობილება მეორეთი, იცვლება მისი თანაცხოვრების წესებიც. კერძოდ, კაპიტალისტური ბაზისის სოციალისტური ბაზისით შეცვლას მოჰყვა კაპიტალისტური თანაცხოვრების წესების შეცვლა სოციალისტური თანაცხოვრების წესებით. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციამ დაანგრია კაპიტალიზმი — შეცვალა ეკონომიურ-პოლიტიკური წყობა, რამაც გამოიწვია ადამიანთა ძირეული გარდაქმნა, მისი მორალური სახის შეცვლა.

კაპიტალიზმი ხრწნის ადამიანებს, აჩვევს და უნერგავს მათ მხეცურ ზნეჩვეულებებსა და ტრადიციებს. თანამედროვე კაპიტალისტური საერთო ცხოვრების წესები ემყარება კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე; ამ წყობილებისათვის მთავარია მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით. ასეთი ეკონომიური ურთიერთობა წარმოშობს კაცთმოძულეობის მორალს, ამ მორალის არსს გამოხატავს ცნობილი რომაული ანდაზა: „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“.

საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში საზოგადოების ცხოვრების საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. სოციალიზმის დროს წარმოების მიზანია, საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

საბჭოთა ადამიანები კომუნიზმისათვის ბრძოლამ გააკეთილშობილა და ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი ახალ, მაღალ ზნეობრივ სიმაღლეზე აიყვანა. საბჭოთა ადამიანის მორალურ სახეს ახასიათებს მაღალი იდეურობა და სამშობლოს სიყვარული, კომუნიზმის დიადი საქმისადმი ერთგულება, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების თანმიმდევრულად დაცვა, სწავლისა და შრომის სიყვარული, სიძნელეთა გადალახვის უნარი.

სოციალისტური თანაცხოვრების წესები დაფუძნებულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებაზე. იგი თავის გამოვლინებას პოულობს ჩვენი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახში, ქუჩაში, სამუშაო ადგილზე, საზოგადოების თავშეყრის ადგილზე და სხვ.

სოციალისტური თანაცხოვრების წესები თითოეული საბჭოთა ახალგაზრდისაგან მოითხოვს ზრუნვას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის შემდგომი ძლიერების განმტკიცებისათვის.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის, ქალიშვილებისა და ჭაბუკების წმიდათა-წმიდა მოვალეობაა სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით მოეპყრან ერთმანეთს, კიდევ უფრო განამტკიცონ ურთიერთისადმი პატივისცემა და სიყვარული. საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თითოეული საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა, შექმნან საზოგადოებრივი აზრი იმ ზოგიერთი ახალგაზრდის მიმართ, რომელიც არღვევს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

საბჭოთა ახალგაზრდობისათვის უცხოა მტრობა, შურიანობა, ეგოიზმი, ქირდვა. სოციალისტური თანაცხოვრების წესები მოითხოვენ, რომ ახალგაზრდობა პატივისცემით და მოკრძალებით ექცეოდეს უფროს და უმცროს თაობებს — ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში, კინოში, თეატრში, ქუჩაში და სხვ...

მართალია, ჩვენში დამკვიდრდა სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, რომელიც გამსჭვალულია ადამიანისადმი ადამიანის პატივისცემით, მაგრამ იგი ჯერ ყველას როდი აქვს შეთვისებული.

ჩვენთან ჯერ კიდევ ადგილი აქვს სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევის უხეშ შემთხვევებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთის შეგნებაში აღმოფხვრილი არ არის კაპიტალიზმის გადმონაშთები. ამას გვიჩვენებს ისეთი ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, როგორიც არის სისხლის სამართლის დანაშაულობანი, ხულიგნობა, ქურდობა, სპეკულაცია, ლოთობა და სხვ., რაც სამარცხვინო ჩირქს ცხებს საბჭოთა ადამიანის ღირსებას. ასეთი სამარცხვინო შემთხვევები თავის გამოვლინებას ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობაშიც პოულობს.

არის შემთხვევა, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის ზოგიერთი სტუდენტი თვრება, ხულიგნობს, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ხშირად მთელი წლის განმავლობაში უსაქმურად დახეტიალობს რუსთაველისა და პლეხანოვის გამზირებზე — შეურაცხყოფას აყენებს გამვლელ მოქალაქეებს.

დღეს მთელი ჩვენი საზოგადოება სასტიკად ებრძვის კაპიტალიზმის უსაზიზღრეს გადმონაშთს — ლოთობას, რომელიც ხშირად ერთ-ერთი მიზეზთაგანია სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევისა. მთვრალი უნებლიედ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, უწმაწური სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებს ქუჩაში გამვლელ მოქალაქეებს. ლოთი უსიამოვნებას იწვევს ოჯახში, არღვევს შრომის დისციპლინას წარმოებაში და სხვა. გასულ სასწავლო წელს იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები ლექციების მსვლელობის დროს გამოცხადდენ მთვრალ მდგომარეობაში, დაარღვიეს წესრიგი, რისთვისაც ისინი გარიცხული იქნენ უნივერსიტეტიდან და ზოგიერთი მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც იქნა მიცემული.

ამჟამად მილიონობით საბჭოთა ხალხი კომუნიზმის მშენებლობის დიად ფერხულშია ჩაბმული. კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში უწესრიგობის, სოციალისტური თანაცხოვრების წესების ოდნავი დარღვევაც კი მილიონობით პატიოსან ადამიანთა აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს. ამიტომ ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე დგება საკითხი სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ზუსტად დაცვისა და განმტკიცების შესახებ. იქმნება მებრძოლი საზოგადოებრივი აზრი სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევთა მიმართ.

ამიტომ ჩვენი პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივის თითოეული წევრის უპირველესი მოვალეობაა სასტიკად ვებრძოლოთ ყოველ ასეთ უხეშ გამოვლინებას. დროულად ვამხილოთ ყველა, ვინც თავისი საქციელით ჩირქს მოცხებს საბჭოთა სტუდენტის სახელს.

**დ. ცინცაძე,**
სისხლის სამართლის კათედრის უფროსი ლაბორანტი.

# საინტერესო საგაზაფხულო პრაქტიკა

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე არის ერთი ჯგუფი, რომელიც მეტად საინტერესო მეცნიერებას — „ძიების გეოფიზიკურ მეთოდებს“ სწავლობს. ამ მეცნიერების კარგად შესწავლისათვის პრაქტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საზაფხულო გამოცდების დამთავრების შემდეგ ამ ჯგუფის სტუდენტები ზოგად გეოფიზიკაში გადიოდნენ პრაქტიკას დუშეთის რაიონში. ამ პრაქტიკის გავლის შემდეგ ამ ჯგუფის სტუდენტები ვ. მერაბიშვილი და გ. ქვანია მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის გეოფიზიკის ექსპედიციის პარტიაში, რომელსაც დოც. გ. თეიმურაძე ხელმძღვანელობს. ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა აგრეთვე მოსკოვის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმური ჯგუფი (ე. წ. „კავკასიის რაზმი“, რომელსაც ახალგაზრდა მეცნიერი ი. ტულინა მეთაურობდა).

გეოფიზიკის ექსპედიციის პარტიის მიზანი იყო ეწარმოებინა სეისმური ძიება, აგრეთვე სიღრმული ზონდირება. პარტია მუშაობისას იყენებდა ყველა იმ მეთოდებს და ხერხებს, რომელთა შესწავლაც ძიების გეოფიზიკური მეთოდების ჯგუფის სტუდენტებს ესაჭიროებათ. საერთოდ, ყველა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს თავისი სამუშაოს ტექნიკური მხარე, განსაკუთრებით კი ასეთი რთული გეოლოგიურ-გეოფიზიკური სპეციალობის შემსწავლელმა. ჩვენი სტუდენტებისათვის ამ ექსპედიციაში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ ვესაუბრეთ ამ ჯგუფის ერთ სტუდენტს, გ. ქვანიას: მან გვიამბო, რომ სტუდენტები დიდი გულმოდგინებით და საქმის სიყვარულით მონაწილეობდნენ ექსპედიციის მუშაობაში. ამ ზაფხულის განმავლობაში მათ ბევრი რამ შეისწავლეს, მეთოდი გეოფიზიკური ძიებისა, რომელიც მათ აქამდე მხოლოდ თეორიულად იცოდნენ, ახლა მათ პრაქტიკულად იციან. ეს პრაქტიკული ცოდნა ძალიან დაეხმარება სტუდენტებს თეორიული ცოდნის შემდგომ გაღრმავებაშიაც. ეს ზაფხული ფრიად ნაყოფიერი იყო მათთვის.

სტუდენტები მომავალ ზაფხულსაც ასეთ პრაქტიკაზე წავლენ და მომავალ წელს, თავიანთ სპეციალობას სრულყოფილად დაეუფლებულნი, შეუდგებიან ნაყოფიერ პრაქტიკულ საქმიანობას ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**ქ. მამალაძე**

# ლაბორატორიებში



ამთავითვე შეუდგნენ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები მეცადინეობას. ამ ზაფხულს მათ კარგად დაისვენეს. ახლა კი ჯანღონით აღსავსენი, დაუბრუნდნენ უნივერსიტეტს და სწავლა დაიწყეს. მესამეკურსელ სტუდენტებს წელს მეყაითი შრომა მოუწევთ, მათ მრავალი რთული სამეცნიერო დისციპლინა უნდა აითვისონ. ზოგიერთი საგნის შესწავლა შეუძლებელია ლაბორატორიული მუშაობის გარეშე. ამიტომაა, რომ მათ ხშირად ნახავთ ლაბორატორიებში, სადაც თავიანთი ხელმძღვანელებისა და ლაბორანტების დახმარებით სწავლობენ საყვარელ სპეციალობას, პრაქტიკულად ეუფლებიან ლექციებზე მიღებულ თეორიულ ცოდნას. მათ კარგად იციან, რომ თეორია უსარგებლოა პრაქტიკის გარეშე, პრაქტიკა კი ბრმაა თეორიის გარეშე. ამიტომაა, რომ ისინი დაუღალავად ეწაფებიან ერთსაც და მეორესაც.

**სურათზე:** (მარცხნიდან მარჯვნივ): ასისტენტი ი. ჩხაიძე კონსულტაციას უწევს მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებს ე. ჩხეიძეს და ც. ნონეზოვას მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის ლაბორატორიაში მუშაობის დროს.

ფოტო **ზ. ხახულაშვილისა**

# ახალი ენერგიით

მრავალმხრივი და შინაარსიანი დასვენების შემდეგ ფილოსოფიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები კვლავ დავუბრუნდით უნივერსიტეტს.

ჩვენმა კურსმა გასული სასწავლო წელი გარკვეული წარმატებებით დაამთავრა. არაერთი საუკეთესო სტუდენტია ამ კურსზე სწავლისა და ყოფაქცევის მხრივ. წინა სესიაზე გამოცდებზე განსაკუთრებით კარგად მომზადებული გამოცხადდნენ გამომცდელთა წინაშე — მ. ბეჟანიშვილი, ლ. მჭედლიშვილი, დ. ჩიქვილაძე, ს. ბოკუჩავა და სხვები, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს ყველა საგანში. ისინი მოწინავენი არიან საზოგადოებრივ მუშაობაშიც.

მაგრამ კურსს გააჩნია ნაკლოვანებანიც. ზოგიერთმა სტუდენტმა ვერ შეძლო II სემესტრის ბოლოს ყველა საგანში დამაკმაყოფილებელი ნიშნის მიღება. ამ ამხანაგებმა ახლა მთელი ენერგიით უნდა იმუშაონ დარჩენილი საგნების დროზე ჩაბარებისათვის, მოწინავეთა რიგებში ჩადგომისათვის, იმისათვის, რომ მომავალშიც აღარ დაუშვან მსგავსი ჩამორჩენა.

ახალი ენერგიითა და ყოველმხრივ მომზადებული ვხვდებით ახალ სასწავლო წელს. გასული წლის მიღწევების და ნაკლოვანებების გათვალისწინება ხელს შეგვიწყობს ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტაში — უკეთესი წარმატებებით დავამთავროთ ახალი 1954-55 სასწავლო წელი.

**ც. ლომსაძე**

# დოც. გ. გამყრელიძე

(გარდაცვალებიდან 1 წლისთავის შესრულების გამო)

1953 წლის 6 ივლისს 51 წლის ასაკში გარდაიცვალა ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი გიორგი სამსონის-ძე გამყრელიძე. იგი დაიბადა 1902 წლის 16 აგვისტოს ქ. ქუთაისში. დიდი ნიჭითა და ენერგიით დაჯილდოვებულმა ახალგაზრდამ 1920 წელს ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ეკონომიური განყოფილების სტუდენტად. უნივერსიტეტი დაამთავრა 1924 წელს, ხოლო 1925 წელს დაიცვა სადიპლომო შრომა თემაზე: „ხელოსნობა თბილისში“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა 1926 წელს. ხსენებული შრომა იყო მისი პირველი სერიოზული, ორიგინალური გამოკვლევა, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა მკითხველთა ყურადღება და მოწონება.

1925 წელს სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით გიორგი გამყრელიძე დატოვებულ იქნა ასპირანტად საფინანსო და სტატისტიკის მეცნიერებათა კათედრასთან. 1928 წელს ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ, იგი არჩეულ იქნა უფროს ასისტენტად, 1930 წელს კი დაინიშნა დოცენტის თანამდებობაზე. აქედან მოყოლებული გ. გამყრელიძე უკანასკნელ დრომდე კითხულობდა დამოუკიდებელ კურსს ჯერ საფინანსო, ხოლო შემდეგ სტატისტიკის მეცნიერებაში.

მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის პარალელურად გ. გამყრელიძე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა გამომცემლობის დარგშიც. 1920 წლიდან 1940 წლამდე ითვლებოდა უნივერსიტეტის „შრომების“ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. 1944 წლიდან 1946 წლამდე მუშაობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად.

გიორგი გამყრელიძის მრავალმხრივ საქმიანობაში აღსანიშნავია, რომ იგი 1938 წლიდან გარდაცვალებამდე ენერგიულად ხელმძღვანელობდა სტატისტიკის კათედრას. ეს პერიოდი ხასიათდება გიორგი გამყრელიძის დაძაბული და ნაყოფიერი მუშაობით როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დარგში. მის კალამს ეკუთვნის



რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომა, რომელთა უდიდესი უმრავლესობა გამოქვეყნებულია. მის ნაშრომთა შორის უწინარეს ყოვლისა მოსახსენებელია თეორიული სტატისტიკის კურსის სახელმძღვანელო, რომელიც გამოიცა ორ ნაწილად. ხსენებული შრომის გამოქვეყნება ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართულ ეკონომიურ მეცნიერებაში. დოც. გიორგი გამყრელიძის თეორიული სტატისტიკის სახელმძღვანელომ დიდი დახმარება გაუწია მოსწავლე ახალგაზრდობას სტატისტიკის მეცნიერების დაუფლების საქმეში.

დოც. გიორგი გამყრელიძემ უკანასკნელ წლებში გაამზადა გამოსაცემად მოსახლეობის სტატისტიკის სახელმძღვანელო, რომელიც ახლო მომავალში დაიბეჭდება.

დოც. გიორგი გამყრელიძე ენერგიულად მუშაობდა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების დარგში. გარდაცვალებამდე მან თავისი სადოქტორო შრომა თემაზე — „საქართველოს მოსახლეობა“ ძირითადად დაამთავრა, მაგრამ დაცვა აღარ დასცალდა.

აღსანიშნავია, რომ დოც. გიორგი გამყრელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა პრაქტიკულ სტატისტიკურ საქმიანობაშიც.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის შესადგენად საჭირო მასალების შეგროვებაში.

დოც. გიორგი გამყრელიძე იყო არა მხოლოდ კარგი მეცნიერი, მკვლევარი, არამედ შესანიშნავი მასწავლებელიც. მისი ლექციები ყოველთვის საინტერესო მოსასმენი და მიმზიდველი იყო სტუდენტობისათვის.

დოც. გიორგი გამყრელიძე ასევე დაუღალავად მუშაობდა ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების მომზადების დარგში.

დოც. გიორგი გამყრელიძის პატიოსანი და თავდადებული შრომა საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასა. 1945 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ იგი დაჯილდოვებულ იქნა მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, ხოლო 1953 წელს — „წითელი დროშის“ ორდენით.

დოც. გ. გამყრელიძემ, როგორც აღმზრდელმა და მეცნიერ-მუშაკმა, მთელი თავისი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი მოახმარა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახალხო მეურნეობისათვის ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებას.

**დოც. შ. ბერაძე**

# ექსკურსანტის შთაბეჭდილებანი

მხიარულად გათენდა 1954 წლის 16 ივლისი, ხარობდა გული ბევრი ახლის, საინტერესოს ნახვის მოლოდინში, ათასფრად გვეხატებოდა მომავალი მგზავრობა და განა ათასფერი, ათასნაირი და წარუშლელი არ იყო ჩვენი შთაბეჭდილებანი?...

აი, მიეფარა თბილისი თვალს. დავცილდით ძვირფას ქალაქს. გამოეთიშა ჩვენი ფიქრები საყვარელი დედაქალაქიდან და ნაცვლად დაუწყობელი წარმოდგენებისა ათასნაირი ოცნებანი დამკვიდრდნენ თავში.

ლენინგრადი, — აი, საითკენ იყო მიმართული ჩვენი ყურადღება. ლენინის გმირი ქალაქი, რუსული კულტურის კერა. გავყურებდით ჩვენი ლამაზი სამშობლოს ველებს, გულს ახარებდა ეს ამწვანებული, აყვავებული ნაყოფით სავსე მთა-ველი და ჩვენ ყველანი ვფიქრობდით ჩვენი მგზავრობის საბოლოო მიზანზე.

სოჩში თითქმის 10 საათი დავყავით. ყველანი ერთადერთი სურვილით ვიყავით შეპყრობილნი, რაც შეიძლება მეტი რამ გვენახა ამ ულამაზეს ქალაქში. პირველი არჩევანი სოჩის „დენდრარზე“ შეჩერდა. თუმცა ჩქარით, მაგრამ მაინც საინტერესოდ დავათვალიერეთ ეს ძვირფასი და უმდიდრესი კოლექცია მცენარეთა სამყაროსი. ვიყავით რივიერაზე, ვისეირნეთ კატერებით და ყოველ წუთში ვგრძნობდით ერთმანეთის სიახლოვეს. კოლექტიური სული, ფაქიზი, მეგობრული დამოკიდებულება ერთმანეთს შორის — აი რა იყო ჩვენი შთაგონებისა და სულიერი აღფრთოვანების წყარო... ისევ ლენინის ქალაქზე ოცნება იპყრობს ჩვენს გონებას. მიდის მატარებელი. მიჰქრის რუსეთის თვალუწვდენელ ველებზე, გასცქერი ამ ლამაზ მინდვრებს, ბრძოლავიდატანილ გმირ ქალაქებს და ფიქრობ, რა ვრცელი და მრავალფეროვანია ჩვენი დიადი სამშობლო და რა მრავალფეროვანი სილამაზეა თითოეულ მის კუთხეში.

ოთხი დღე ვიმგზავრეთ და მივუახლოვდით ლენინგრადს. საღამო იყო. შორიდან მოჩანდა ელნათურებით გაჩირაღდნებული ქალაქი. მატარებლიდან ვადმოსვლისთანავე აღფრთოვანებისა და მოკრძალების გრძნობა დაეუფლა თითოეულ ჩვენთაგანს. განა ეს ასე არ უნდა მომხდარიყო?... ჩვენ ხომ იმ მიწაზე გვედგა ფეხი, სადაც ცხოვრობდნენ და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ დიდი ბელადები ლენინი და სტალინი, სადაც ჩვენთვის მომავალი თაობის ბედნიერი ცხოვრების შემქმნელთა ამდენი სპეტაკი სისხლი დაიღვარა.

ვისარგებლეთ კარგი დარით და ჩვენი პირველი ექსკურსია ქალაქგარეთ მოეწყო. თვალწარმტაცი და ზღაპრული მშვენიერება გადაგვეშალა თვალწინ, როდესაც თბომავლიდან გადმოვედით. პეტერგოფი!... პეტრე დიდის ქალაქი! — ასე უწოდებენ მას ლენინგრადლები.

პეტერგოფის მხატვრული ძეგლების სიდიადემ ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ ნიჭიერი და შრომისმოყვარეა დიდი რუსი ხალხი. პეტრე I-ისა და ეკატერინე II-ის საზაფხულო სასახლეებისა და პეტერგოფის აგების ისტორიის გაცნობის შემდეგ პირველი, რამაც თვალი მოგვტაცა, შადრევნები იყო. პეტერგოფი ხომ ბაღია შადრევნებისა, რა შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია ყოველივე ეს და რაოდენ სილამაზეა მათში, თვალს იტაცებდა მათი გაფორმება და ჩანაფიქრის სიზუსტე.

პეტერგოფიდან დაბრუნებულნი დაღლას არ ვგრძნობდით. იმავ ღამით ვნახეთ გრანდიოზული სანახაობა — ნევაზე ხიდების გახსნა, სანაოსნო მოძრაობის დაწყება, პირველი დღის შთაბეჭდილებებს, ასე ერთბაშად მოზღვავებულს, თავს ვეღარ ვუყრიდით. ჩვენ ყველას დაგვეუფლა სიხარული, გამოწვეული იმისაგან, რომ ლენინგრადში ვიმყოფებით, დავდიოდით იმ ქუჩებზე, რომლებიც ამდენი ბრძოლების მომსწრეა, უნახავთ მათ 1917 წელს რუსეთის ძლევამოსილი პროლეტარიატის ბრძოლები თავისუფლებისათვის, ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის ბრძოლები ლენინგრადისათვის, ლენინის ქალაქისათვის.

სულ 6 დღე დავყავით ქალაქში, ვნახეთ ერმიტაჟი და რუსული მუზეუმი, ის დიდი სიმდიდრე და სილამაზე, ის დიდი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც წინაპრებს გადმოუცია ხალხისათვის. ვიყავით ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის უნივერსიტეტში. მოწიწებით შევყურებდით რუსული კულტურის ამ ჭეშმარიტ კერას, სადაც სწავლობდნენ მე-19 საუკუნის დიდი ადამიანები: ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, გერცენი და სხვები... საიდანაც მოწინავე იდეებით შეიარაღებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

ერთი დღე მიეძღვნა ქალაქის ღირსშესანიშნაობათა საფუძვლიან დათვალიერებას. ჩვენი ავტობუსი ყოველი მნიშვნელოვანი ძეგლის წინ ჩერდებოდა და ჩვენც გატაცებით ვათვალიერებდით მათ.

აი სმოლნი, რევოლუციის საბრძოლო შტაბი, სადაც მოთავსებული იყო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. ვნახეთ ფინეთის სადგური, სადაც დიდმა ბელადმა ლენინმა წარმოთქვა თავისი ცნობილი აპრილის თეზისები.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ პეტრე-პავლეს ციხე. ვნახეთ რევოლუციონერთა საკანები. დიდხანს ვიდექით მე-60 საკანთან, რომელშიაც ერთ დროს ჟანდარმერიას დაპატიმრებული ჰყავდა მ. გორკი.

27 ივლისს დავტოვეთ ლენინგრადი და გამოვემგზავრეთ ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვისაკენ. შორიდან გამოჩნდა ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეცნიერების ეს გრანდიოზული ტაძარი. განსაკუთრებით მოგვეწონა უნივერსიტეტის კორპუსების გარე ფორმა, რომელიც არქიტექტურული გაფორმების უშესანიშნავეს ნიმუშს წარმოადგენს.

წითელი მოედანი. დიდხანს ვიდექით თავდახრილნი მავზოლეუმის წინ, რომელშიაც განისვენებენ მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადები — ლენინი და სტალინი.

29 ივლისს ათასგვარი შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გამოვეთხოვეთ საყვარელ დედაქალაქს — მოსკოვს და უდიდესი მადლობის გრძნობით დავბრუნდით საქართველოში.

**მზია ტყეშელაშვილი,**



სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის II კურსის სპარსული ჯგუფის სტუდენტები მ. მოდებაძე და ლ. კოტიშვილი სპარსულ ტექსტებზე მუშაობის დროს აღმოსავლეთმცოდნეობის კაბინეტში.

ფოტო ზ. სახვლაშვილისა



## სპორტული ამბები

### ჩვენი უნივერსიტეტის სახელობის მწვერვალი პამირზე

ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიურმა კლუბმა საბჭოთა კავშირის ალპინისტებთან ერთად მოაწყო ექსპედიცია პამირის მწვერვალზე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც, უნივერსიტეტის ალპიური კლუბის წევრები.

8 სექტემბერს უნივერსიტეტის რექტორის სახელზე მოვიდა ექსპედიციის ხელმძღვანელის დოც. ო. გიგინეიშვილის შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საქართველოს ალპიური კლუბის წევრები, პამირის მაღალმთიანი ექსპედიციის მონაწილეები — სოზარი და დიმიტრი გუგავები, ლევან და ზურაბ ახვლედიანები პირველად ავიდნენ შახდარის ქედის უსახელო მწვერვალზე, რომლის სიმაღლეა 6147 მეტრი, 514 მეტრით მეტი, ვიდრე იალბუზი. მწვერვალს ეწოდა თბილისის უნივერსიტეტის სახელი“.

პამირის უსახელო მწვერვალის დაპყრობა ჩვენი ალპინისტების მორიგი გამარჯვებაა.

### ახალგაზრდა კოლექტივის წარმატება

ივლისში ქ. დნეპროპეტროვსკში ჩატარდა შეჯიბრება ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების — „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კუიბიშევის და მოკავშირე რესპუბლიკების 16 უძლიერესი კოლექტივი. ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდა ფეხბურთელთა კოლექტივმა (მწვრთნელი ამხ. გ. პავლიაშვილი), რომელიც ასეთ შეჯიბრებაში პირველად ღებულობდა მონაწილეობას, საუკეთესო ფიზიკური და მაღალი ტექნიკური მომზადება გამოამჟღავნა. მან ლენინგრადისა და მოსკოვის ძლიერი კოლექტივების შემდეგ მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

### საჭიდაო ხალიჩაზე

ივლისში ჯიხაიშში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის პირველობაზე, სადაც ჩვენი უნივერსიტეტიდან 5 კაცი მონაწილეობდა.

აი, მწვანე ფერის საჭიდაო ხალიჩაზე ორი კუნთმაგარი ფალავანი შეერკინა ერთმანეთს. რამდენიმე სწრაფი, გააზრებული ილეთი და მოწინააღმდეგე დამარცხებულია. გამარჯვება და თან საქართველოს ჩემპიონის საპატიო წოდება მიეკუთვნა უნივერსიტეტის საუკეთესო ფალავანს — მაისურაძეს. ასევე თავის წონით კატეგორიებში ჩემპიონის სახელი დაიმკვიდრეს თედევემა და ჩოფურიშვილმა, ხოლო ჩიკვაიძე მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა.

### სპორტის ახალი ოსტატი

ივლის-აგვისტოში ქ. ბათუმში ჩატარდა ოცდღიანი საწვრთნო შეკრება, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 75 სპორტსმენი. შეკრება ჩატარდა შემდეგ სახეობებში: ფეხბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ჭიდაობასა და კრივში.

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ველიკაშვილმა სპორტულ ტანვარჯიშში საუკეთესო მომზადება გამოამჟღავნა და ჩააბარა ოსტატობის თანრიგი.

### სიმძიმე დაძლეულია

რუსთავში 1-დან 9 ივნისამდე ჩატარდა შეჯიბრება რესპუბლიკურ პირადგუნდურ პირველობაზე ძალოსნობაში. ამ შეჯიბრებაში სხვა გუნდებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა უნივერსიტეტის გუნდიც. მსუბუქ წონით კატეგორიაში უძლიერესი აღმოჩნდა „ნაუკას“ ცენტრალური საბჭოსა და უმაღლესი სასწავლებლების რეკორდსმენი ფერაძე, რომელმაც ღირსეულად მოიპოვა ჩემპიონის წოდება, უმძიმეს წონაში კი მესამე ადგილზე გამოვიდა ჭიჭაქაძე. ორივე სპორტსმენმა ღირსეულად დაიცვა ჩვენი უნივერსიტეტის სპორტული კოლექტივის სახელი.

## ახალი წიგნები

ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და უკვე იყიდება შემდეგი წიგნები:

**ნ. ნაკაშიძე**, რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის ისტორიული ფესვები. წიგნის რედაქტორია დოც. ა. სურგულაძე, შეიცავს 32 გვ.; ფასი 1 მან.

**ი. ცინცაძე**, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. წიგნის რედაქტორია დოც. ზ. შველიძე, შეიცავს 44 გვ.; ფასი 1 მან.

**ზ. შველიძე**, რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი. წიგნის რედაქტორია პროფ. ი. ცინცაძე, შეიცავს 69 გვერდს, ფასი 2 მან.

პატარა ფელეტონი

# იყო და არა იყო რა...

იყო და არა იყო რა. იყო ერთი...

ჰმ! თქვენ გგონიათ ზღაპარს ვყვებოდი, არა? არა, ნუ გეშინიათ! მაგრამ ამბავი, რომლის გადმოცემასაც ახლა ვაპირებ, სწორედ ასე იწყება: „იყო და არა იყო რა...“

ეს მოხდა ორი წლის წინათ უნივერსიტეტის მძლეოსნობის საზამთრო დარბაზში. რამდენიმე ცისფრად შეღებილი, ზედ ბადეგადაჭიმული მაგიდა, ორი მოასპარეზე ახალგაზრდა, ორი ჩოგანი და პატარა თეთრი ბურთი...

გაგახსენდათ, არა? დიახ, ლაპარაკია მაგიდის ჩოგბურთზე. ორი ჩოგანი, ერთი ბურთი; მაგრამ ორს ორი მოემატა, შემდეგ კიდევ ამდენი და თანდათანობით მოთამაშეთა რიცხვიც გაიზარდა. იმატა ბურთის მონოტონურმა კაკუნმაც.

მაგრამ ეს რა ამბავია? დარბაზი გაივსო მოზღვავებული „საქმიანი“ სტუდენტებით. ევრიკა! ლექციების გაცდენის ახალი საშუალება! და დილის 9 საათიდან საღამოს 11 საათამდე კაკუნებდა ბურთი, საბრალო თეთრი ბურთი...

დარბაზში ხალხთან ერთად იმატა ხმაურმა, უსუფთაობამ და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავი იჩინა ხულიგნობამაც.

ზოგიერთი „გამოსული“ სტუდენტი არაფრად აგდებდა დამლაგებელი ქალების შენიშვნებს — პაპიროსის ნამწვავებს იატაკზე აგდებდა, იფურთხებოდა.

საქმე გართულდა. შეუძლებელი გახდა სექციაში გაერთიანებული სპორტსმენებისათვის არამც თუ ნორმალურ, არამედ მინიმალურ პირობებშიც კი ვარჯიშის ჩატარება. აქ კიდევ — დამლაგებელი ქალების საჩივარი.

საჭირო იყო ვინმეს ჩარევა? აკი ჩაერია კიდეც!

ფიზკულტურის კათედრამ მოისმინა რა ყველა საჩივარი, სასწრაფოდ მოიწვია სხდომა: მოისმინეს, დაადგინეს, კრება დარჩა მხიარული. დაასკვნეს: დღეიდან უნივერსიტეტში აიკრძალოს ყოველგვარი მაგიდის ჩოგბურთობია! (!).

მადლი უფალს! განაჩენიც ასეთი უნდა!.. მაშ რა ეგონათ იმ თავხედ სტუდენტებს — თავიანთი გაუვიდოდათ?!... მაგრამ... რა იყო?.. მგონი სახეზე უკმაყოფილება დაგეტყოთ! აჰ, მიგიხვდით! თქვენ ფიქრობთ, რომ უმჯობესი იქნებოდა ფიზკულტურის კათედრას უფრო საქმიანი განაჩენი გამოეტანა, არა? კერძოდ — მიეცა სექციისათვის ნორმალური სახე და სავარჯიშო დროც დაეწესებინათ! ო, ეს საუცხოო იქნებოდა! მაგრამ, როგორც ხედავთ, მოხდა სულ სხვა. აზარტი სტუდენტები გაყარეს, ხოლო მაგიდები, საბრალო მაგიდები ერთმანეთზე დააწყვეს და ჩხვლეტია მავთულებით შებოჭეს — ყოველი შემთხვევისათვის, რომ არსად გაპარულიყვნენ.

დაობლებული ჩოგანი და ბურთი ნაღვლიანად შესცქეროდნენ ძველ მეგობარს და ასე უმღეროდნენ:

„ჩემო ცისფერთვალებავ, რაზედ
მოგიწყენია?
კათედრა თუ არ გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.

და მართლაც ნანატრი მომავალი მალე დადგა.

ტარდებოდა სპორტსაზოგადოება „ნაუკას“ პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრაზე ატყდა განგაში. დაჰკრეს ბუკსა და ნაღარას. სასწრაფოდ შეკრიბეს „დემობილიზებული“ სპორტსმენები და სასპარეზოდ მიავლინეს.

შეჯიბრი დამთავრდა. უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა „ნაუკას“ ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა. შესრულებული იქნა სამი პირველი და 5 მეორე თანრიგის ნორმა. გამარჯვებული სტუდენტები თავიანთი „ნადავლით“ ეახლენ კათედრის გამგეს ამხ. კ. ზაუტაშვილს, რომელმაც თავის მხრივ საუკეთესო საჩუქარი მიართვა სპორტსმენებს. ცენტრალურ სპორტკლუბში გუნდისათვის გამოყოფილი იქნა დრო, სადაც უკვე ნორმალურად მიმდინარეობდა ვარჯიში. მაგრამ მალე რატომღაც ფულის გადარიცხვა შეწყვიტეს და ეს საათივით აწყობილი საქმეც ჩაიშალა.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. დიდი წყალიც მოვიდა, ბევრი ქვიშაც წაიღო, რამდენიმე შეჯიბრიც ჩატარდა პირველობაზე, მაგრამ უნივერსიტეტის საუკეთესო სპორტსმენებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ და თუ მიიღეს, თვით კათედრა გვეტყვის, რომ ისინი არასასურველ ადგილზე გამოვიდნენ.

ყოველივე ნათელია! საქმეს გულგრილობისა და პასუხისმგებლობის ნამდვილი ბეჭედი აზის!

დაობლებული ჩოგანი კი დამწუხრებული ფიქრობს:

„ნეტავ დიდხანს გასტანს ასე?!“

როდემდის, როდემდის, ჩვენო კათედრავ, მოგვეცი ამის პასუხი!

**ა. ჩოგნიანიძე**

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 1. ტელეფონი 3-28-66.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ. № 1. ტირაჟი 1000. უე 05607.